

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

აკრილი
2024



ელექტოენერჯის
ბაზრის მიმოხილვა



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორი:

ერეკლე შუბითიძე
უფროსი მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2024 წლის აპრილში ელექტროენერჯის გამომუშავება 13%-ით გაიზარდა წლიურ ქრილში, ხოლო 4%-ით თვიურ ქრილში.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 4%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 16%-ით შემცირდა.
- გამომუშავებამ მოხმარებას 212 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2024 წლის აპრილისთვის სრული წარმოების 17% და მოხმარების 20%-ია.
- აპრილში განხორციელდა 6.6 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- აპრილში განხორციელდა 58 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი.
- მთავარი საიმპორტო პარტნიორი აზერბაიჯანი იყო.
- მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო.
- იმპორტის ფასი 6.50 ცენტი, ან 17.40 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- ექსპორტის ფასი 4.72 ცენტი, ან 12.65 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2024 წლის აპრილში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი კონცენტრირებული და კონკურენტული ბაზრის ზღვრებს შორის იყო და ინდექსის მნიშვნელობა 1,345-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2024 წლის აპრილში ინდექსის მნიშვნელობამ 2,092 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


1. წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2024 წლის აპრილში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,085 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 13%-იან კლებას წარმოადგენს (2023 წლის აპრილში სრული წარმოება 1,249 მლნ კვტსთ იყო). წარმოების წლიური კლება ჰესების (-12%), თესების (-25%) და ქარის (-10) სადგურების გამომუშავების კლებამ განაპირობა.

თვიურ ჭრილში წარმოება 4%-ით შემცირდა (2024 წლის მარტში სრული წარმოება 1,130 მლნ კვტსთ-ს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე კლება თბო სადგურების (-81%), ქარის (-4%) და ჰესების (-4%) გამომუშავების კლებამ გამოიწვია.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 995 მლნ კვტსთ შეადგინა (4%-ით მეტი 2023 წლის აპრილთან შედარებით და 16%-ით ნაკლები 2024 წლის მარტთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2024 წლის აპრილში ენერჯის წარმოებამ მოხმარებას 91 მლნ კვტსთ-ით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 8%-სა და სრული მოხმარების 9%-ს შეადგენდა (2023 წლის აპრილში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 212 მლნ კვტსთ-იანი სიჭარბე შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების 17%-ს და სრული მოხმარების 20%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰესებზე მოდის. 2024 წლის აპრილში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 1,004 მლნ კვტსთ-ს გაუტოლდა (სრული წარმოების 92.4%), თესების წარმოება – 74 მლნ კვტსთ-ს (სრული წარმოების 6.8%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება – 8 მლნ კვტსთ-ს (სრული წარმოების 0.7%) (დიაგრამა 2).


დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰესებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 25.6% გამოიმუშავა (278 მლნ კვტსთ), ხოლო სეზონურმა ჰესებმა – 54.5% (592 მლნ კვტსთ), მცირე სიმძლავრის ჰესებმა კი – 12.3% (133 მლნ კვტსთ) (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით




წყარო: ესკო

თესებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა 49 მლნ კვტსთ (თესების 65.9% და ჯამური გამომუშავების 4.5%) გამოიმუშავა, გარდაბანი 2-მა – 13 მლნ კვტსთ (თესების 18.2% და ჯამური გამომუშავების 1.2%), აირტურბინამ – 4 მლნ კვტსთ (თესების 3.4% და ჯამური გამომუშავების 0.3%), ხოლო თბილსრესმა – 8 მლნ კვტსთ (თესების 11.2% და ჯამური გამომუშავების 0.8%) (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

- დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში




წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰესებიდან წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 42 მლნ კვტსთ ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 13.6% და სრული წარმოების 3.9%). ენგურჰესმა 148 მლნ კვტსთ გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯიის 53%-ს და სრული წარმოების 15%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5


- ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2023 წლის აპრილთან შედარებით 13%-ით შემცირდა (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ – 33.5% (334 მლნ კვტსთ), აფხაზეთი – 18% (179 მლნ კვტსთ), თელასი/თელმიკო² – 23.9% (238 მლნ კვტსთ) და პირდაპირი მომხმარებლები – 24.4% (243 მლნ კვტსთ) (დიაგრამა 7). 2023 წლის აპრილთან შედარებით მოთხოვნა თელასი/თელმიკოსგან – 4.8%-ით, ენერგო-პრო ჯორჯიასგან – 0.8%-ით და პირდაპირი მომხმარებლებისგან 3.9%-ით გაიზარდა, ხოლო აფხაზეთისგან – 26.7%-ით შემცირდა. საერთო ჯამში, 2024 წლის აპრილში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 3.9%-ით ნაკლები შეადგინა 2023 წლის აპრილის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.


² 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები – განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიწოდებლები – საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიწოდებლები – საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი აწარმოებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყენენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიწოდებელი.

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2024 წლის აპრილში საქართველოში 6.6 მლნ კვტსთ-ის იმპორტი განხორციელდა (2023 წლის აპრილში 0.07 მლნ კვტსთ-ის იმპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 9). იმპორტის 100% შემოვიდა აზერბაიჯანიდან (2023 წლის აპრილშიც იმპორტის 100% რუსეთიდან შემოვიდა). 2024 წლის აპრილში საქართველოდან განხორციელდა 51.5 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი თურქეთში და 6.5 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი აზერბაიჯანში (2023 წლის აპრილში განხორციელდა 166.2 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი თურქეთში, 0.1 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი რუსეთში და 0.05 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი აზერბაიჯანში) (დიაგრამა 10). 2024 წლის აპრილში 29.4 მლნ კვტსთ-ის ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთში (2023 წლის აპრილში განხორციელდა 97.8 მლნ კვტსთ-ის ტრანზიტი თურქეთიდან რუსეთში).


2024 წლის აპრილში, 2023 წლის აპრილთან შედარებით, იმპორტი 99.8%-ით გაიზარდა, ხოლო ექსპორტი 65%-ით შემცირდა.

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


2024 წლის აპრილში, 2024 წლის მარტთან შედარებით, იმპორტი 93.8%-ით შემცირდა (დიაგრამა 11). 2024 წლის აპრილში ექსპორტი თვიურ ჭრილში 7-ჯერ გაიზარდა (დიაგრამა 12).

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

2. საბაზრო ოპერაციები

2024 წლის აპრილში ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 68% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა, დარჩენილი 32% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2024 წლის აპრილში საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 15.3 თეთრი კვტს-ზე, რაც 11.4%-იან წლიურ ზრდას შეესაბამება 2023 წლის აპრილთან შედარებით (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2024 წლის აპრილში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი 16.14 მლნ ლარი იყო, რაც 2023 წლის აპრილის მონაცემზე 3.2%-ით მეტია (დიაგრამა 15).


დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2024 წლის აპრილში, იმპორტის ფასები 6.50 ცენტი, ან 17.40 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 0.8%-იან კლებას და ლარში 5.2%-იან ზრდას (2023 წლის აპრილში ფასები 6.55 ცენტი ან 16.54 თეთრი იყო კვტს-ზე). 2024 წლის მარტში იმპორტის ფასები 0.19 ცენტი ან 0.50 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში და ლარში ფასის თვით ზრდას 34-ჯერ. 2024 წლის აპრილში ექსპორტის ფასები 4.72 ცენტი ან 12.65 თეთრი იყო. ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 35.8%-იან და ლარში 31.9%-იან კლებას (2023 წლის აპრილში ექსპორტის ფასები 7.36 ცენტი ან 18.58 თეთრი იყო) (დიაგრამა 16). 2024 წლის მარტში ექსპორტის ფასები 5.76 ცენტი ან 15.46 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს აშშ დოლარში ფასის 18%-იან, ხოლო ლარში 18%-იან თვით კლებას.


დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები



წყარო: ესკო

2024 წლის აპრილში აზერბაიჯანიდან ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 6.50 ცენტს ან 17.40 თეთრს შეადგენდა კვტსთ-ზე (დიაგრამა 17).


დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო/საქსტატი

2024 წლის აპრილში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი აზერბაიჯანიდან 6.50 ცენტს ან 17.41 თეთრს შეადგენდა, ხოლო თურქეთიდან – 4.50 ცენტს ან 12.05 თეთრს (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო/საქსტატი

3. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2024 წლის აპრილში საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ჩამოსცდა და HHI ინდექსი 1,345 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2023 წლის აპრილის მონაცემზე (HHI 2,267 ერთეული) და 2024 წლის მარტის მაჩვენებელზე (HHI 1,934 ერთეული) დაბალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2024 წლის აპრილში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,092 ერთეულს გაუტოლდა (2023 წლის აპრილის მაჩვენებელზე (2,134) დაბალი და 2024 წლის მარტის მაჩვენებელზე (2,215) დაბალი. რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება (დიაგრამა 20).

დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო